

კაჟა ეტზისელო

კოლხური  
ფსალმუნები

100-ტომეული




გამომცემლობა „ანკარსალი“  
თბილისი 2019

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღვა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული  
100 ტომად


2019



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

ტომი 4

2019



მთ. რედაქტორი

**ციალა მუსხია**

ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი,  
აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2019

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2019

---

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსკაინის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-618-8 (4 ტომი)



\* \* \*

**ვაჟა ებრისელი** დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ღმერთის მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღმქანადრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფილოზოფ ტიტუსების ღმერთი და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ღმერთის მომცველი ერთტომეული – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალმუნაბი“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძმინდება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ღმერთი დასტამებული.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცნინერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მცნინერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწეს ქართული კოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალაკტიონ ტაბიძის პრემიების დაწესების, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დეკანოს მფლისა და „დიოკურია 2005“-ის, მწვინდობის ოქროს პარსკვლავისა და მწვინდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მცნინერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-ს პრემიანდის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერო-სამცნინერო აკადემიის ვიცე-პრემიანდის,



ავსჯანმართის მმართველობა აკადემიის პრეზიდი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეშვილების „კოლხური უსალგუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსალგუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზიდის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს კოლიბრაფიულ დონეზე შესრულებული ტომეში. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსალგუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადაბულია დასაბეჭდავ ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანთოლოგიური, აბრეთვე, პრეზიდისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მმართველისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერთო-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსალგუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილი. იგი – მძვინვარე შვილია (შვილი ძმა და ორი და).





## კოეტის ასტრომეული „კოსმიური კოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუს-თვალს აკაკის და ბალაკტიონს, ღმერთი არ მიუყენს რომ შეგადარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონსაც, რომ აზანზარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა კოეტის ზღაპრული კოსმიური „უსაღმუნებოს“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტბვერდინანი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარვეყავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაკტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არმის ჭალაში მგბარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმწივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზე, კოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნებოს“ იბაგმიუვლომელი ასტრომეული ღაკიდა და ბაანცოცხლა, მიძინეული, ღავიწყების ნაცარმომილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათტომეუტზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ღებნდებითა და საოცრებებით დახუნდული ისტორია, რაც კოემერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითები.

100-ტომეული... ძველის ბაჩნის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი კოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძენია დღამიწაზე...

კოსმოსში კი...

ღაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გგელეჟანი მისწოლია... მათ იცინან იმ ოწყება დღამიწის ისტორია“.

### ბულნაზ ხარაიჭვილი

კოეტი, ბალაკტიონ ტაბიკის პრემიის ღაურიატი, ჯუმბერ ღეჟავას სახელოების მინინერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი





**„ბუნდცივად შხნვლი ჟოველ ჭიბას, ჟოველ  
კაბეზას.“**

**ა. პუშკინი**

**ნაპოლეონ ლემონჯაგა** – პროფესორი:  
„... ვაჟა ეგრისელი დიდი პოტენციის მატარებელი პოეტია. მისი პოეზიის ორიგინალობით სამართლიანად ამაყობს ქართული საზოგადოება...“

**დავით ტაკიძე** – პოეტი: „... ვაჟა ეგრისელის პოეზია მითებს და ლეგენდებზეა ნაშობი. მისი შემოქმედება არის მეტაფორების ხეივანი, საიდანაც კოლხური ჩუმი-ნაღველი მოისმის...“

**რეზო ფაჩულია** – აკადემიკოსი: „... ვაჟა ეგრისელის ურიცხვ ვარსკვლავთა პოეზია, დროის ათვლას არ ემორჩილება. მისთვის სამყარო თავის საზომით არსებობს...“





ეგრისელის პოეზიას სამყაროსავით არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული...

**ანა ქველიძე** – ლიტერატორი: „... ვაჟა ეგრისელის არა ერთი და ორი ლექსი, არამედ მთელი მისი პოეზია ვაჟა-ფშაველასეული მაღალპოეტური მეტაფორული აზროვნების ნიმუშია...”

**კლიმენტი შელია** – პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელის პოეზია, მსოფლიო პოეზიის ჩამოუცილებელი, თვითმყოფადი, უკვდავი ნაწილია, რომელიც მთელ ეპოქას ქმნის...”

**აპალონ ცანავა** – პროფესორი, კრიტიკოსი: „... ქართულ ლიტერატურაში ვაჟა ეგრისელის პოეზია ისეთივე ძალისხმევით შემოიჭრა, როგორც ლადო ასათიანის, შოთა ნიშნიანიძის, ანა კალანდაძის, მუხრან მაჭავარიანის ქმნილებები... ქართული ლიტერატურათმცოდნეობამ სერიოზული განხილვისა და მსჯელობის საგნად უნდა აქციოს ვაჟა ეგრისელის საოცრად თვითნაბადი პოეტური სამყარო...”



**მამანტი ძაძამია** – პროფესორი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი: „... ვაჟა ეგრისელი „კოლხური ფსალმუნებით“ არამარტო კოლხეთის, არამედ სრულიად საქართველოს დიდი მეფსალმუნე და ეპოქალური ფენომენია...”

**ნანა ჭირაქაძე** – პოეტი: „... ვაჟა ეგრისელის წმინდათა-წმინდა პოეზია – ხატებთან დანათებული სანთლების ლოცვაა...”

**ჯემალ ხარებავა** – პროფესორი: „... ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“, აკაკი წერეთელის „განთიადი,“ ვაჟა-ფშაველას „არწივი,“ გალაკტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენები“ და ვაჟა ეგრისელის „შაველეო“ – აი, ქართული პოეზიის ხელიხელ საგოგმანები მარგალიტები...”

**რუსუდან ხორავა** – კომპოზიტორი: „... ვაჟა ეგრისელი თავისი უდიდესი შემოქმედებით ცალკე დგას განმარტოებით... ის სხვა ქვეყანაა...“

**გულნაზ ხარაიშვილი** – პოეტი: „შოთას, აკაკისა და გალაკტიონის გვერდით,



სხვებზე აღრე მე მივუჩინე ბინა ვაჟა ეგ-  
რისელს.“

**ნიკო ხერკელაძე** – მხატვარი, აკადემი-  
კოსი: „... ვაჟა ეგრისელის პოეზიაში სა-  
ქართველოს (კოლხეთის) შვილიათასწლო-  
ვანი ისტორიაა ჩაკირული...“

**ომარ ხუხუა** – ფაზისის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი: „... ვაჟა ეგრისე-  
ლის ფიქრმიუწდომელი შემოქმედება, მერ-  
ვე საოცრებაა ჩვენთვის დედამიწაზე...“

**გულნაზ ხუხუა** – პროფესორი: „... სა-  
დაც ბუმბერაზ პოეტ ვაჟა ეგრისელს გა-  
უვლია იმ ქუჩაზე გავლის უფლება, რო-  
გორც მე, ისე სხვებმაც უნდა მოიპოვონ...“

**ჯემალ ჯინჯისაძე** – პროფესორი, პოე-  
ტი: „... დღეს, ვიცით, რომ მწვერვალთა  
შორის არის ერთი თვალშეუდგამი, სრუ-  
ლიად გამორჩეული პოეზიის მწვერვალი,  
რომელსაც ვაჟა ეგრისელი ჰქვია...“

**ლელა მირცხულავა** – ფილოლოგიის  
დოქტორი, პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელი  
– მარადისობას გამოქცეული და ჩვენს



თანამედროვეობას სულის მესაიდუმლედ და სიტყვის დიდოსტატად შემოხიზნული უდიდესი ქართველი მგოსანია...“

**ნიკო რეხვიაშვილი** – პოეტი; „... ვაჟა ეგრისელი ოცდამეერთე საუკუნის გამორჩენილი და გამორჩეული დიდი პოეტია...“

**ზურაბ ქაფიანიძე** – საქართველოს სახალხო არტისტი.

**თეიმურაზ მიბზუანი** – პროფესორი; „... ვაჟა ეგრისელი – ლეგენდარული კოლხეთის ლეგენდად ქცეული პოეტია და ოცდამეერთე საუკუნის ვაჟა-ფშაველა...“

**თენგიზ სვანიძე** – პოეტი; „ვაჟა ეგრისელის მთელი პოეზია მინიატურული ლექსების თაიგულია, გარდასახვებით, მეტაფორა-ეპითეტებით, იდუმალი სახეებითა და შორეული – პრეისტორიული ხილვებით გაძეგილი.“

**სოკრატ სალუქვაძე** – მედიცინის დოქტორი, პროფესორი; „ასი წლის წინათ – ილია ჭავჭავაძე წერდა: „ვაჟა-ფშაველა



არის გენიალური ფიგურა და ყველაფრით გამოირჩევა თანამედროვე პროექტებისგან.

ასი წლის შემდეგ მე სიამაყით შემიძლია გავიმეორო დიდი ილიას სიტყვები და ვთქვა: ვაჟა ეგრისელი „არის გენიალური ფიგურა და ყველაფრით გამოირჩევა თანამედროვე პროექტებისგან.“

**აკაკი გვარამაძე** – პროფესორი: „თუ ლეონტი მროველი „ქართლის ცხოვრების“ მემატრიანეა, მაშინ ვაჟა ეგრისელი თავისი „კოლხური ფსალმუნებით“, უუძველესი კოლხეთის მებისტორიე და სულია ჩამდგმელია.“

**ვანო მეგრელი** – პროფესორი: „... 50,000 ათასამდე „კოლხური ფსალმუნების“ ავტორი, პოეტიაკადემიკოსი, ქართული პოეზიის რაინდი ვაჟა ეგრისელი თანამედროვე პოეზიის მესიაა და ჩვენ პროექტები, როგორც ქრისტეს თავისი მოწაფეები თავყვანს უნდა ვცემდეთ და ვაღმერთებდეთ მას...“

**მამა დიმიტრი (ლევან ჩოხელი)** – პოეტი: „უფლის კარნახითაა დაწერილი ვაჟა



ეგრისელის ღვთაებრივი, ათიათასობით „კოლხური ფსალმუნები.“

**ჯუმბერ ლეჟავა** – მსოფლიო მოგზაური, მეცნიერებათა დოქტორი: „... ვაჟა ეგრისელს, როგორც ბიბლიური „კოლხური ფსალმუნების“ შემქმნელს, მე როგორც გინესის 15 გზის რეკორდსმენს, რომ შემეძლოს, 30 „გზის“ მივანიჭებდი მსოფლიო პოეზიის რეკორდსმენობას.“

**ბიძინა ნანობაშვილი** – ისტორიის დოქტორი, პროფესორი: „ მხატვრობაში – ფიროსმანი, მუსიკაში – ფალიაშვილი, პოეზიაში – ვაჟა ეგრისელი, აი, ჩემი სათაყვანებელი სამება.“

**ჯემალ დაღანიძე** – საქართველოს სახალხო არტისტი: „ვაჟა ეგრისელი დიდი არა, უდიდესი ქართველი პოეტია, ამაში დამარწმუნა მისდამი ხალხის სიყვარულმა.“

**შოთა მესხია** – აკადემიკოსი: „... ახალგაზრდა პოეტმა, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა, ვაჟა დოლბაიამ შექმნა



ისტორიული პოემა „მტკვარი“, რომლის ნაწყვეტი უნივერსიტეტში წაიკითხა რუსთაველის 800 წლის საიუბილეოდ და... უზარმაზარი აუდიტორია აღტაცებული და გაოგნებული დაგვტოვა...“ 1966წ.

**რეზო ჩხეიძე** – საქართველოს სახალხო არტისტი:

„... ეგრისელის „კოლხური ფსალმუნების“ მეხუთე – 1575 გვერდიანი ტომის მსგავსი წიგნი, გარდა ბიბლიისა, მე ჯერ არ მინახავს! ნუთუ ის ერთმა კაცმა შექმნა?!“ 2014წ.

**ნინო ბერიძე** – მუსიკოსი: „... დრო მოვა ვაჟა ეგრისელს, როგორც დეთისმოსავ დიდ პოეტსა და პიროვნებას წმინდანად შერაცხავენ“...

**რუსლან რუსია** – მწერალი, ჟურნალისტი: „... რედაქტორები ბევრია ქვეყნად, მაგრამ ვაჟა ეგრისელივით პოეტი – ერთი.“

**რიჩარდ ნიჟარაძე** – ისტორიკოსი, პოეტი: „... არც რუსთაველამდე და არც მის



შემდეგ ვაჟა ეგრისეული ხმით არავის უმღერია ძველ კოლხეთზე – ე.ი. საქართველოზე.“

**გერონტი გასვიანი** – ისტორიის დოქტორი, აკადემიკოსი: „...სამყაროს ისტორია და პრეისტორია მსოფლიოს არცერთ პოეტს ეგრისელებისებურად არ აუყვანია მეცნიერული პოეზიის კვარცხლბეკზე...“

**გელოდი ფოცხიშვილი** – საქართველოს სახალხო არტისტი: „...ვაჟა ეგრისელი – ქართული პოეზიის ტაძარში – „კოლხურ ფსალმუნებად“ – დანთებული ის წმინდა სანთელია, რომლის ნათელი, სანამ კაცობრიობა იარსებებს არასოდეს ჩაქრება“...“

**დარეჯან ხიდუშელი** – აკადემია „ქალდეას“ აკადემიკოსი: „ავთვალს არ დაენახვება ალბათ ვაჟა ეგრისელის ლეგენდარული „კოლხური ფსალმუნების“ 500-ზე, 1000-ზე, 1500-ზე მეტ გვერდიანი ოცდაათტომეული“.





**ილია ბარამიძე** – პოეტი: „ვაჟა ეგრისელი საქართველოს მზისხელა პოეტია და სიცოცხლეშივე ლეგენდადგა ქცეული...“

**იამზე რობაქიძე** – აკადემიკოსი: „...გამოჩენილი მწერალი გრიგოლ რობაქიძე „კარდუს“ (ქალდუს) – ე. ი. ქალდეველებს მისტიროდა, როგორც ქართველთა ეთნარქს...“

ვაჟა ეგრისელმა პრეისტორიული „ქალდეველები“ გაგვიცოცხლა და თავისი „კოლხური ფსალმუნების“ ოცდაათათასზე მეტი ლექსის თითქმის ნახევარი მიუძღვნა.“

**მანანა მამულაშვილი** – ეკონომისტი: „მიხარია და ვამაყობ ქართული პოეზიის რაინდის – ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნების“ ასტომეულით, ერისკაცობითა და მამულიშვილობით.“

**ზურაბ ჭუმბურიძე** – პროფესორი, მწერალი: „ვაჟა ეგრისელი – დიდ ქართველ პოეტთა ღირსეული მემკვიდრეა...“



**ტრიფონ ხუხუა** – აკადემია „ქალდეას“ და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიების აკადემიკოსი: „კინოფილმი „გიორგი სააკაძე“, სადაც სააკაძის როლს ასრულებს ლეგენდარული აკაკი ხორავა – რაინდობით, ხმით და პატრიოტიზმით – დიდი ქართველი პოეტი, ვაჟა ვერისელი „სააკაძის“ ჭეშმარიტი პროტოტიპია.“

**მაყვალა გონაშვილი** – პოეტი: ინდური სიბრძნეა: “თუ გწამს, თუ გიყვარს, თუ იტანჯები, შენ ადამიანი ხარ. თუ ამ სამეზბას ნიჭსაც დაეუმატებთ, ვაჟა ვერისელის პორტრეტს მივიღებთ, ადამიანისას, რომლის ყოველ სტრიქონში უფლის მადლი ტრიალებს. ამიტომაც დააჯილდოვა არსთა გამრიგემ ასეთი მშვენიერი ლექსებით.”

**ანზორ კავსაძე** – საქართველოს სახალხო არტისტი: „ერთხელ, ვაჟა ვერისელთან შეხვედრაზე საქართველოს სახალხო არტისტმა – რეზო ჩხეიძემ განაცხადა: „ადრე რომ წამეკითხა ვერისელის „კოლხური ფსალმუნები“ (30000 ლექსი), მაშინ კოლხეთის (საქართველოს) პრეისტორიაზე და



ისტორიაზე მსოფლიო მნიშვნელობის ფილმს შეეკმინდი და სამყაროს გავაოცებდი, რადგან აქ ყველაფერი პოეტური ფუნჯით ისეა „დახატული“, რომ მარტო გადაღებაა საჭირო...“ ჭკუშმარიტად!

**ია ქებურია** – ახალგაზრდა პოეტი, სტუდენტი: “...ბატონი ვაჟა ეგრისელის ათას გვერდიან ტომეულებში, ათასწლეულების ლეგენდებში მძინარე მზეთუნახავი – მითიური კოლხეთია გაღვიძებული...”

**რუსუდან ბერიძე** – ფილოლოგი, პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელი მშობლიური ლიტერატურისა და ისტორიის განსაცვიფრებელი ცოდნის (პრეისტორიული „კოლხური ფსალმუნები) გარდა ენციკლოპედიურად განათლებული პიროვნებაა.“

**გივი სიხარულიძე** – მწერალი, მსახიობი: „... ვაჟა ეგრისელის ლექსების კითხვისას თვალები ცრემლით მევესება... ხოლო რაც შეეხება „შავლეგოს“, რომელიც ეძღვნება მერაბ კოსტავას, გენიალურია.“



**ლადო ათანელი** – მსოფლიო ბარიტონი: „...მეც ვუერთდები ქართველ და უცხოელ მწერალთა და ხელოვანთა ჭკმბარიტ სენტენციებს, რომ „კოლხური ფსალმუნების“ ასტომეულის ავტორი (30000-ზე მეტი ლექსი) ვაჟა ეგრისელი თანამედროვე მსოფლიო პოეზიის უდიდესი ქართველი „ბარიტონია“...“

**მარი ეგნატაშვილი** – გერმანისტი: „...ქართული დიადი და მარადიული სულის უდიდესი მგალობელი მგოსანია ვაჟა ეგრისელი.“

**გიორგი ნოქარიშვილი** – აკადემია „ქალდეას“ აკადემიკოსი: „ვაჟა ეგრისელი ალბათ ოქროს კალმით წერს ოქრო ლექსებს...“

**ნათია ჯგუშია** – მწერალი, ჟურნალისტი: „...ვაჟა ეგრისელის უზარმაზარ შემოქმედებას შორეული წარსულის ციდან კოლხეთში წვიმად მოსული ექვსინის პონტოს დამათრობელი სურნელი ასდის...“



**რეზო კინწურაშვილი** – აკადემიკოსი: „ვაჟა ეგრისელი გარდა უდიდესი პოეტისა, უდიდესი მამულიშვილიცაა.“

**პარმენ ზაქარაია** – პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელი პრეისტორიული კოლხეთის უდიდესი „არქეოლოგი“ პოეტია...“

**ბიეტა აბშილავა** – პოეტი, მხატვარი: „... ვაჟა ეგრისელის ფიქრმიუწვდომელი შემოქმედება ოცდამეერთე საუკუნის პოეზიაში განუმეორებელ მოვლენად დარჩება...“

**ალექსანდრე კრავეიშვილი** – მომღერალი, მსოფლიო გრანპრის ორგზის მფლობელი: „... როგორც ანტიკური დიდი პოეტების შემოქმედება, ვაჟა ეგრისელის კოსმიური, უსამანო პოეზიაც, ყველა დროისა და ეპოქის უჩვეულო მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული თანამედროვეობის მიერ...“

**გრიგოლ გიორგაძე** – აკადემიკოსი: „... არამგონია, რომელიმე სახელოვან ისტორიკოსს თავის ნაშრომებში ისე გაეცოცხლებინოს კოლხთა (ქართველთა) მოდ-



გმის შორეული ნაშიერნი (შუშერები, ქას-ქები, ხათები, ხეთები და ა.შ.) როგორც ვაჟა ეგრისელმა (თავის ხუთ-ექვს სტრიქონიან) „კოლხურ ფსალმუნებში“.

**ღალი წილოსანი** – ფილოლოგი, აკადემია „ქაღდას“ ნამდვილი წევრი: „... მარადიულ პოეტ – რუსთაველს დავესხებო, რომ „მაღალი და მაღლად მხედი“ უდიდესი მგოსანია ვაჟა ეგრისელი...“

**კლიმენტი კიკალეშივილი** – აკადემიკოსი: „... ვითარცა ქრისტემ იტვირთა ადამის ძეთა ცოდვა, ასევე ვაჟა ეგრისელმა თავის ლომურ ქედზე იღო ქართული სიტყვის ღმერთთან მსხვერპლად ამაოდ შეწირულ პოეტთა სიმძიმელი და... პოეზიის ჯვარზე ეცვა.“

**სერგი ლომაძე** – პოეტი: „ვაჟა ეგრისელი თავისი გენიალური „კოლხური ფსალმუნებით“ (30 000 ლექსი) “თანამედროვეობის უდიდესი პოეტი“ კი არა და... პოეზიის მეფეა...“



**ღამზირა შეყილაძე** – პოეტი: ჩემი დიდი ძმა, ბატონი ვაჟა ეგრისელი – „თანამედროვეობის უდიდესი პოეტი“ – ჭკმმარიტად.“

**ნანა დარჩიაშვილი** – პოეტი: “ვაჟა ეგრისელის შემოქმედება-მსოფლიო პოეზიის უსამანო ცაა... ბედნიერი ვარ იმ ცისქვეშეთის, რომ ვარ ბინადარი.

**სოლომონ დემურხანაშვილი** – მწერალი: „... ნეტარ არიან მორწმუნენი“, მაგრამ მე ვერაფრით დამიჯერებია, რომ ვაჟა ეგრისელის უბრწყინვალესი „კოლხური ფსალმუნების“ ათასგვერდიანი ტომეულები ერთი პოეტის (თუნდაც გენიოსის) შექმნილია.“

**ჯუმბერ ლომინაძე** – აკადემიკოსი: „ასტროლატრი პოეტის – ვაჟა ეგრისელის ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები“ – მსოფლიოში ყველაზე დიდი „ობსერვატორია“, საიდანაც ხვდება ციურ სხეულებზე დაკვირვება და ახალი, უცხო „პლანეტების“ აღმოჩენა“...



**ანზორ ჯაფარიძე** – აკადემია „ქალდეას“ აკადემიკოსი: „... ქართული პოეზიის რაინდის – ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნების“ ათას, ათასხუთასზე მეტ გვერდიანი („ტიტანური“ – პროფ. ლ. სორდია) ტომეულები საოცრება და უცნაური მოვლენაა ოცდამეერთე საუკუნის არა მარტო ქართულ, არამედ საერთოდ მსოფლიო მხატვრულ ლიტერატურაში“...

**რომან ზარანდია** – ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი: „...დრო მოვა – საქართველოს და არა მარტო საქართველოს დაამშვენებს დიდი ქართველი პოეტის – ვაჟა ეგრისელის სახელობის ქუჩები და პროსპექტები.“

**ლადო რამიშვილი** – საქართველოს ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი: „...მეოთხედი საუკუნეზე მეტია, რაც საქართველოს ეროვნული აკადემია ამაყობს ვაჟა ეგრისელის, როგორც დიდი პიროვნებითა და უდიდესი ქართველი პოეტის სახელით“...





## ენა ქართული

*"ყოველი საიდუმლო ამას ენასა  
შინა დამარხული არს!"*

*იოანე ზოსიმე*

ვით ქარავანი ათასწლეულთა –  
უდაბნოში და მთა-გორებზე  
გადამართული,  
უჟამო – ჟამმა ბევრჯერ ზაკვით  
არიუ-დარია,  
მაგრამ დღეს მაინც, რაც მთავარია –  
უფალს ესმის –  
ენა ქართული.

1976

\*\*\*

სიყვარული ღამაზია,  
თუმც ზნე-წესი ახლავს რთული,  
დაიჯერეთ!

თუ არ გჯერათ! –

– ეს ცხოვრება ჩახლართული

ჰგავს ილია ჭავჭავაძის

ხელმოწერას.

1965



## ღამე მთაში

ისმის დევების ღრიალი,

მთებს ზარავს მგლების

ყმუილი,

გუდამაყარში შესული.

და ამბობ შენც, ვით ხევსური:

– ვიცი "ანდრეზი\*" მართალ არს"

მაგრამ "ამბავი ტყუილი".

1966

---

\* ანდრეზი" – ძველ ქართულად, ე. ი. მითი



**ხილვა: მოსე**

გარდასული ჟამთა ნისლი,  
ქვიშანარევ თეთრ სამოსელს,  
ღვთივკურთხეულ –  
მოჰგავს მეფის.

იაჰვეს<sup>1</sup> კი,

სინას მთაზე უსმენს მოსე,

ბჰობს მის კოშერსა<sup>2</sup>

და ტრეფის<sup>3</sup>.

1963

1 – იაჰვე – ებრაელთა ღმერთი

2 – კოშერი – (ებრ.) – ნებადართული

3 – ტრეფი – (ებრ.) – აკრძალული



\*\*\*

უკვდავების გზაზე მავალს,  
საგზლად მგოსნის სულს  
გატანდა  
და მზე გჭვრეტდა ღვთის სახით.  
მხრებზე გედგა,  
ვით ატლანტის,  
პოეზიის ცის თაღი.

2009



## ხეთი და თუბალი

ისტორიის ყანაში,

მოჭრილ თავებს კვლავ თესავს,  
ომის ღმერთი არესი:

"გრძელის" თუ "თავმოკლენის"

მაღალის თუ დაბალის.

და ხეთასან<sup>1</sup> ხმა მესმის –

ხეთისა<sup>2</sup> და

თუბალის<sup>3</sup>.

1976

1 – ხეთა – (ხობის რ-ნი) – ანტიკური ხანის ისტორიული სოფელი

2,3 – ხეთი, თუბალი – ქართველთა მონათესავე ტომები (მარსერო, სეისი)



## ცა და მიწა

სიყვარულით ცა და მიწა

იწვის...

ადრე არ იწვოდა,

და დღეს შენ ეს გაწვალეbs.

ვითა მგელმა,

ძაღლმა ყეფა არ იცოდა,

კაცო! –

და შენ ასწავლე!

1979



\*\*\*

გამთენიის მაღალ ციდან,  
ვარსკვლავების იხმის  
"ლილე",  
და ზღვის აფენს ოქრონარევ  
სხივთა გვირგვინს.  
ტაღლებზე რომ მიღივლივებს,  
თოლიაა თუ სუღია  
არსთგამრივის?!

1996





## აპოლონმა მოგცა ღირა

მოსულს კოლხურ მითებიდან,  
აპოლონმა მოგცა ღირა,  
ჰერკულესმა – თიკუნები.  
ავად ხდები ღექსით ხშირად  
და ღექსითვე –  
იკურნები.

2009



\*\*\*

ვით ინგლისი –

ჯორჯ ბაირონს,

ამერიკა –

პო ედგარის,

ისე გისმენს საქართველო,

ხელში სიბრძნე ჩაბღუჯული,

რუსთველივით ფეხზე მდგარი.

2012



\*\*\*

ცის კოშკიდან გადმოფრენილს –  
გალაკტიონს ისაკლისებ!!!  
გრანელს,  
ცრემლს რომ ლექსებს  
ურევს.

შენ მათ ცოდვებს ვის აკისრებ,  
ჟამს თუ...

ჟამთა მესვეურებს?!

1966



\*\*\*

ცაში, როგორც ასტრონომი,  
წინაპართა სულს ეძებდი,  
მიწაში კი,  
მათ მაშვრალ ძვლებს,  
ვით საგანძურს, ჰპოებდი,  
არქეოლოგი პოეტი.

2009



\*\*\*

ბედნიერია ის კაცი,  
რომელსაც  
ნათელი არ ეჩვენება ბინდად.  
საღამოს დაიძინებს მშვიდად,  
თან ჩაიყოლებს ღიმილს  
და არ გაიღვიძებს დილით!!!

2013



**ხილვა: სარგონ მეფე**

სარგონ მეფე\* თავის ქალწულს,  
კოლხთა მეფე –  
ანბარისზე  
სიხარულით მითხოვებულს,  
თავის მთიან-ბილიკიან,  
ურიცხვ ოქრო-ვერცხლთან ერთად,  
მზითვად ატანს ქილიკიას.

1977

\*სარგონ – მეფე ასურეთის (722 – 705)



## ტრეტიაკოვის გალერეა

ცის ხარხოში ჩასმული,  
ღამე არის მზიანი,  
ლეგენდაა და მითი:  
ჯოტო და ტიციანი  
და ჟაკ ლუი დავიდი.

1982



\*\*\*

მთოვარის აკვანდარწეულები, –  
      ცის ვარსკვლავები,  
                                  მთა თუ კორდია  
და მათთან ერთად –  
      ხელებ მაღლააწეულები,  
      იქით კი არა,  
                                  ასწლეულები  
შენს შესახვედრად აქეთ მოდიან...

2009





\*\*\*

ცისარტყელას ციურ ჰანგით  
ცას მოდრეკ და  
ოქროდ მოქსოვ  
და უმღერებ მტკვარს და ფაზისს,  
ვითარც ქუჯს და  
ფარნავაზის,  
შენ, კოლხეთის ორფეოსო!

2001



\*\*\*

მამლის ზარზე

ცის აბგაში,

ჩააღაგა დიღამ მნათნი,

ნათლის კაბის შარიშურით

და მერე მზის შესახვედრად,

აღმოსავლით

გაეშურა.

2002



\*\*\*

მიწიდან გამოპარული,  
მოსვლიდან ცაში ბინადრობ,  
არა ხარ "მთიებს" ნატრული,  
და მაინც ელვას მისტირი...  
გვერდით გყავს იუპიტერი,  
მარსი,  
მერკური,  
სატურნი.

2009



## ღალიკბა და ღალისი

დავიწყების შავი ნისლი,

მხარზე ნაბდად მოხურვია!!!

ვამბობ სულ სხვა ხალისით:

ჩუენია და

კოლხურია –

ღალიკბა<sup>1</sup> და

ღალისიც<sup>2</sup>.

1992

1 – ღალიკბა – მდინარე აფხაზეთში

2 – ღალისი – მდინარე კაპადოკიაში (ძვ. წ. XI ს.)



\*\*\*

რადგან სიკვდილთან ვარ წილნაყარი,

დაე,

მოგევედუ უამს მიმწუხრისას,

და მზეს გავეყვე ღამის წყვდიადში,

რომ ვარსკვლავები

ერთად აყვართ!

მერე დილით, რომ

ერთად მოვფინოთ, –

ცისკრის ნათელი,

ღამაზ სამყაროს!

2001



\*\*\*

სადღაც უხილავის ხელი

ელვას

ღრუბლის გვერგვზე ართავს.

სივრცეს ადევს ფერი ღინჯის\*,

და ვით მეფე მაღალ ცათა,

გადმოგვეურებს მოვარე ღინჯად.

1984

---

\* ღინჯი – (მეგრ.) – სპილენძი



\*\*\*

ღამის ჯვარზე გაკრულმა

თუ ილოცე...

იომე,

მალე მოვა აღდგომა.

ღა

შენ ელი,

ვით ნოე,

"ზღვათა შინ წყლის ჩადგომას".

2009



## ბიბლიური კოლხეთი

როს სუფევდა ქაოსი  
და არ იყო აღარსად  
კაცთა ფეხდასადგამი,  
მაშინ, უფლის წყალობით –  
ბარითა და გვერგო მთით:  
ბიბლიური კოლხეთი –  
შთამომავალს ადამის,  
ნოესა და ნებროთის\*.

2000

\*ნებროთი – ნოეს ერთადერთი შვილიშვილი





\*\*\*

საიდანღაც ხმა მოისმის:

– ქართულ ლექსში

ისევ ისე,

თვალებს ახელს დაღატიო!

შენ სულ სხვა ხარ...

კვალში მისდევ –

შოთას,

ვაჟას,

გალაკტიონს...

1977



\*\*\*

ვით ძემ ფაირევიცის

(რადგან უფალს შეფიცე!)

ცას და მიწას მეუფობ!

(პოეტს მეტი რა გინდა?!)

რომ შეგრაცხეს "გრაალის"

და... "პოეზიის რაინდად\*.

2013

\* ვაჟა ეგრისელს 2013 წელს "ქართულ პოეზიაში  
შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის" მიენიჭა  
"ქართული პოეზიის რაინდის" წოდება



**ლოდინი**

მოვა ქართველი!

წიწილივით ქორს

არ გაატანს:

კოლას,

არტანუჯს და არტაანს.

1969



## სამყარო ჩვენი მოყვასია

მე

განა მარტო ქართველებს ვყვარობ  
და კავკასიის სერებზე შევდექ!

არა,

ახლობლების მომყავს სია:

ფრანგი...

არაბი...

ინდიელი...

და ასე შემდეგ...

– სამყარო! –

ჩემი მოყვასია.

1979



\*\*\*

საქართველოზე მლოცველი,  
თუმც უამმა ბევრჯერ  
შეგრისხა,  
რომელიც ახლაც იმღვრევა...  
მაინც ღმერთს ესმის  
შენი ხმა,  
შენი "კოლხური" სიმღერა.

2014



## ჰგავხარ ბიბლიურ იაკობს

შენი ფიქრი და ოცნება

ათასწლეულებს მიაპობს...

თუმც შური ადევს ბორკილად,

ჰგავხარ ბიბლიურ იაკობს,

ჟამთან და ღმერთთან

მორკინაღს.

2001



\*\*\*

"კოლხურ ფსალმუნებს" სურნელი  
სდევს იისა და  
ენძელის  
და ძალა სეფე და დავლეს!  
და მაინც ვეღარ შესძელი,  
თუნდაც ერთხელ მოხელთვა –  
"ციური აზრთა ნადავლის".

2002



\*\*\*

უკვე მესამედ ყივის მამალი,  
გულისფანცქალით ველი  
აღიონს,  
შენი გვარტომი და ნათესავი.  
და მსურს უვალი გზები –  
გაელო,  
შენს დიდ ნათელში –  
მარკოზივით და  
მათესავით.

1976





\*\*\*

ყოფნაზე და არყოფნაზეც,  
ორივეზე განვიძრახავს  
ამხედრება.

ვით ხაიამს,  
ღვინითა და  
სიყვარულით –  
გინდა თრობა.

და თუ ისმენს შენს ვედრებას:  
ღმერთს შეჩივი –  
უღმერთობას!

1976



## საფო ლესბოსელი

როს ცის თვალში ვარსკვლავებმა  
ოქროს ცეცხლი შეანთეს  
და სამყარო ათასფერად

შემოსეს,

სწორედ მაშინ, მწუხრმა თვალი

ჰკიდა საფო\* ლესბოსელს,

მეცხრეს არა,

მუზათ – "მუზა მეთეს"

(პლატონი).

1996

\*საფო – დიდი ბერძენი პოეტი ქალი, კუნძულ ლესბოსიდან  
იყო (ძვ. წ. VI ს.)



\*\*\*

სადღაც ღრუბლებში ეკიდა მთვარე,  
ფრთამოტეხილი, ვითარცა ორბი,  
ცას ერთი მნათი აჩნდა იარად.  
და მთელი ღამე ისმოდა ბორგვა...  
განთიადისაას –  
ზღვამ გრიგალი იმშობიარა.

1971



\*\*\*

კოლხეთი –

არის შენი ოლიმპო,

წარსულიდან და მომავლიდან

ძახილი გესმის:

– შენშია ყველა სიამაყე

და სისადავე.

ხარ ზე-მაღალი, ვითარცა ზევსი

და ხელთ გიპყრია პოეზიის

ოქროს სადავე.

1981



\*\*\*

სახლისტოლა ქვები და  
უფრო დიდი ლოდები,  
მადლა –  
პირამიდებზე  
მხრებით რომ აიტანეს, –  
ექებ იმ კოლხ გიგანტებს,  
ბუმბერაზებს,  
ტიტანებს.

1966



## მელეტი და მნემე

ვინ იცის,

შენს თავზე,

უფრო მრისხანე ცა მოვიდეს,

ამის მომლოდინე გგვემენ.

ჩუმ-ჩუმად გღალატობს აოიდე<sup>1</sup>,

მაგრამ არ გღალატობენ –

მელეტ<sup>2</sup> და მნემე<sup>3</sup>.

1981

1 – აოიდე – გამოცდილების მუზა

2 – მელეტე – სიმღერის მუზა

3 – მნემე – მასსოვრობის მუზა



**მანბლისუ**

კუნელების ცეცხლი არა,  
                  ალგეთის პირ ტყეს და  
                                  ბუჩქებს,  
ასდის დაღვრილ სისხლის ალი  
(ათი საუკუნის მერეც)  
                  დიდგორს ცრემლიანი თვალით,  
                  უმზერს ნიჩბისი და  
                                  ვერე.

1977



\*\*\*

რაც ყოფილა!

ათასჯერ

მოდის დღე უარესი...

ჭალაში კი არესის,

არ ჩანს ოქროს საწმისი

და აღარც იაზონი.

ეჰ!

კოლხეთის წარსული,

ბამბუკის ტანს მიაგავს,

მტკაველ-მტკაველ აზომილს.

1979





\*\*\*

ძილისფრად თვალეზგახელილები,  
წვიმის ლოდინში ყვავილები  
როგორ ეწამნენ,  
ცამ მიწას ცვარიც არ დააპკურა.  
აქ – მაინც მზისკენ მიიწევა  
ტანი ლერწამის,  
იქ – ტაგასაგოს მთის ფერდობზე  
ჰყვავის საკურა.

1981



## წილკნის მონასტერი

ათასი წლის მერე ისევ,  
ბნელ წარსულის ამრეკლავი,  
ჩუმად უხმობს წილკნელ  
ისეს\*,  
ოხვრა,  
ველის მუხრანის და  
წყლის გოდება ნარეკვავის.

1967

\*ისე წილკნელი – ერთ-ერთი ასურელი მამა (VI ს.)



\*\*\*

(ვარიანტი)

მოწყენილნი და მიუსაფარნი,  
სადღაც შოორეულ  
წარსულში სხედან –  
თვალცრემლიანი მაცი და ეკა.  
და აღარ ესმით –  
მზის და მთვარის ბორბლის  
ხმაურში,  
ოქროდ დამდნარი ვარსკვლავების  
ზარების რეკვა.


1964



\*\*\*

მტკვართან და ფაზისთან,  
განგთან და ნილოსთან –  
მუხლმოყრით ილოცა...  
მლოცველნო! –  
არ უთხრათ "არული".  
ის პოეზიის გაძარია,  
ლეგენდაა მოარული.

2011



\*\*\*

ორი ათასწლეულის –  
ცამდე აწვილ სამანს  
გაცლა  
მისი ხმა გამყივარი.  
მასთან მოჩანს –  
ქონდრისკაცად:  
ჯომოლუნგმაც,  
იალბუზიც  
და... მყინვარიც.

2009



\*\*\*

მზე ჩადის...

სადღაც დასავლით,  
დღე-ღამეს ეყრება წვალებით,  
ისე, ვით სული და ხორცი.

მთიდან ჭკვრეტს ზამთარი "ღუღჩე\*":

შემოდგომა ჭალაში

ვით კოცნის,  
ბროწეულის დახეთქილ ტუჩებს.

1964

---

\* "ღუღჩე" (მეგრ.) – თეთრთავა



\*\*\*

კოლხეთისკენ მიმავალი,  
მწუხრის ზღვაში ჩავარდნილი  
მზე  
საშველად უწვდის ხელებს  
ცას  
ისე, ვით ფრიქოს  
ჰელე.

1973



## ბილგამეშის კითხვისას

ველარ ირჩენს იარას,

დარჩენილი ეულად.

და,

ეს ელვა კი არა,

გილგამეშმა ენქიდუს

სული –

მივიწყებული,

წამით გაამზეურა.

1965





\*\*\*

ტრფობის ცხელი დღეები  
უდაბნოა საჰარის,  
ცის ლაჟვარდს რომ  
ერთვიან.

სიყვარული სხვა არის,  
სიყვარული ღმერთია. (იოანე 4,8)

1972



## ვითარც ქალს ქიოსელს

დალატი?!

ძნელია!

არც სული, არც გული!

დარდებით დღეებს ნუ იოსებ.

მწამს,

ღმერთი მეგობარს გარგუნებს,

მშვენიერს და ერთგულს,

ვითარც ქალს ქიოსელს-.

1976

\*ქიოსი (კუნძული) – ქალაქი მარმარილოს ზღვის სანაპიროზე (ძვ. წ. 790 წ.), ამ ქალაქში 700 წლის განმავლობაში დალატის არცერთი შემთხვევა არ ყოფილა



\*\*\*

ჯანდაბის გზები რომ განლიეს,  
    მახილი ესმოდათ უცხოთა:  
    – მთავარი სასო და რწმენაა –  
და ეს სინათლედ უძლოდათ –  
    ოდისევსს,  
    იაზონს,  
    ენეასს.

1965



\*\*\*

როცა განთიადისას,  
მიღეული მთიებით, –  
სივრცეა დაკემსილი,  
ცის მეშვიდე სფეროდან –  
ისმის ჩემი ძახილი:  
– ვარ მჭლე ქრისტეს ნემსივით,  
გაწყვეტაზე მისული –  
მარიამის ძაფივით.

1976



## მხატვარი

*(რეზო (ემელიანე) ადამიას)*

წუთისოფლის სიმუხთლე  
შარბათივით შეირგე...  
ნიკო ფიროსმანივით  
ხატავ ღამის გობელის.  
ფერებს სტაცებ ბრეიგელს,  
ელ გრეკოს და  
გოლბეინს.

1998



როშ – ჰა – შანა

მთები ზღვისპირ დგანან ლოცვებად  
და მზის ხსოვნას პატივს სცემენ;  
ვარსკვლავები ცის მინდორზე  
ბორცვად ჩანან.

ქრისტე ფეხს ჰბანს იოანე  
ნათლისმცემელს,  
იორდანეს ნაპირზე დგას  
როშ-ჰა-შანა\*.

1983

\*როშ-ჰა-შანა (ებრ.) – ახალი წელი



\*\*\*

ყოფნაცა და არ ყოფნაც  
შენ თვალეში გიკვესავს...  
მიტომ უხმობ შორიდან:  
ჰომეროსს და  
რუსთაველს,  
ფშაველას და რილკესაც.

1972



\*\*\*

მოჯარდებიან ზღვისკარად  
ადრე წასული იმ ქვეყნად,  
მეგრელები და  
ლაზები,  
როცა დაღლილი ეწვევი...  
შენ კი,  
წამით არ შეგრცხვება,  
მგოსანო,  
უკან მოხედვის.  
და მაშინ... შენი კოლხეთი,  
უფრორე გალამაზდება.

1996





## ვაჟა ფშაველას

გამოეპარე ფშავის მთებს,  
                  ეხოებსა და ჭიუხებს, –  
                  სამეუფოს არწივთა.  
და... როს წინაპრებს მიუხველ  
მთაწმინდა –  
                  უფრო გაბრწყინდა.

1961



## შუამდინარეთში

სადღაც ათასწლეულთა  
იქით,  
ისევ ინათა,  
მერე უცებ შებინდა.  
ქაღდვეველთა ზარის ხმა,  
მესმა მოულოდნელად,  
ზაგროსის დიდ მთებიდან.

1973



\*\*\*

მზის შვილი...

მაგრამ ანტეოსივით,

მშობელი მიწის ტრფობით

სნეული, –

ქართული ფრთებით იფრენ...

იფრენ გაუთავებლად...

და ვით სიცოცხლე და

უკვდავება,

შენი სახელი გადასწვდება

ათასწლეულებს.

2014



\*\*\*

გავცქერი ხსოვნის მთებს და  
მწვერვალებს,  
ბორცვს და მინდორსაც.  
ლამისყანასთან ვხედავ დავითს,  
ლეკს და დიდოსაც.  
და საიდანღაც ჩემსკენ მოზიდულ  
მშვილდსაც ვჭკვრებ,  
მაგრამ ვეღარ –  
მშვილდოსანს.

1966



\*\*\*

ჩუმი მტყუარა მოხუცი მამა:  
ცუდს მოასწავებს ყმუილი  
ძაღლის,  
ამ შუადამით!  
აღბათ მოდის "ის" და  
ძილის ნავით,  
გამიყვანს "გაღმა" მოსასვენებლად,  
სიცოცხლით  
დაღლილს.

1963



\*\*\*

ამქვეყნიური ამაოება,  
გახენის დღიდან  
გულ-ღვიძლს გიდრღნიდა...  
ეჭა, რამდენი წელი გავიდა,  
რომ ერთი მნათი გითვალთვალებს  
ღამის სიღრმიდან,  
სინამდვილე კი გიმზერს  
ეჭვის –  
ჭუჭრუტანიდან.

2012



\*\*\*

*"რა ღამაში ხარ, სიკვდილო,  
სიცოცხლე მშვენობს შენითა!"*

*ვაჟა-ფშაველა*

ვინც დღენიადგ ცდილობს ფარულად:

გვიან გათენდეს,

ადრე დაღამდეს!

და ამქვეყნიურს გვტაცებს მშვენებას!

ვაჟაჲ! –

დიდებას მისას ღაღადებ,

მე კი იმისი მსურს შეჩვენება!

2001



\*\*\*

მოულოდნელად ქარის ძახილზე  
აკივლდებიან სადღაც ჭოტები  
და შუალამისას,  
განრისხებული,  
ვით ვეფხვი მოყმეს,  
ზღვა ხმელეთს ისევ  
აეტოტება.

1972





## ადგომის ღამე

სოფლის ბოლოში,

სად საფლაფთა მცირე ბორცვია,  
ადგომის ღამეს –

სულ სიკვდილი და

ხორხოცია:

დგებიან მკვდრები...

მორწმუნენი –

როგორც იტყვიან.

შორით უმზერენ...

და სახლებში აღარ შედიან,  
გამთენიისას

კვლავ საფლაფებს  
უბრუნდებიან.

1969



\*\*\*

ქართული სიტყვა, როგორც მიმინო,  
ცერზე გიზის და ხედავ  
დაგეშილს.

ველარ წარსოქვაშენ კაცთა ბაგენი:

"კოლხურ ფსალმუნთა" –

ციხე-ტაძრებში,

რა საუნჯეს და საიდუმლოს

შენ მიაგენი.

1969



## ორი პირამიდა

სიცოცხლის მაცნედ,  
მზედ და ამინდად,  
მის მკერდზე ორი ღვას პირამიდა,  
ორივ სპეტაკი,  
ორივ ახალი,  
წამითაც რომ არ შეხებიათ ხელი  
მსახვრალის,  
მაგრამ ორივე ელის წაქცევას:  
ან მიწად,  
ანდა მაღალ ცად ქცევას.

1962



\*\*\*

წლებმა რომ აღარ დაგინდეს,  
ზოგჯერ ეს  
შავ ფიქრებს მოგისევს  
და... მაინც, შენში ვჭკერებ –  
რაინდებს:  
ტარიელს,  
ფრიდონს და ავთანდილს,  
იაზონს,  
ენეასს,  
ოდისევსს!

2014



## პარსკვლავები

მზის ქურაში გამომწვარი აგურით

ნაშენები და

ნაგებია!

(განა თიხას ჰგავს მოზელილს)

ვარსკვლავები –

ოქროს სარკოფაგებია –

ღმერთებისა და

ანგელოზების.

1966



**მთეპი... ზღვეპი...**

აუყენენ ცისკენ დელვის ბილიკებს...

ვით სხვებმა...

უფლის ნახვა ინდომეს,

აი, ამიტომ პოსეიდონმა,

ელვა და მეხი თავს დაარისხა...

ახლა ისხამენ ქარს და

ქარიშხალს

და ავსულები თავზე დაჰხართ...

ზღვებია –

მთეპის ნამოსახლარი.

1964



## ღამე სვანეთში

იშუშებს წარსულის იარებს  
და ღამის წყვილადში  
სძინავთ მთებს...  
ეს სვანური კოშკები კი არა,  
წინაპრის დანთებული  
სანთლებია,  
ათასწლეულებს რომ გვინათებს.

1966



\*\*\*

როცა ჩაიწურება ზღვაში სხივი  
დაისის,  
და ცაში აყვავდება გაზაფხულის  
ყვავილი,  
მაშინ პარას ჭალიდან თუ  
ზღაპრიდან გაისმის:  
ტყაშმაფასი<sup>1</sup> კივილი და  
ოხოკონის<sup>2</sup> ბლავილი.

1961

1 – ტყაშმაფა – (მეგრ.) – ტყის დედოფალი 2 – ოხოკონი  
(მეგრ.) – ტყის კაცი





\*\*\*

(ხმა წარსულიდან)

რადაც მეუცხოვება

"ავსური" და "ოვსური"!!!

მე ვარ ძველი კოლხეთი,

ჩემს მშობლიურ კოლხეთში

არსაიდან მოსული.

1964



## იაღბუზი

კოლხ-ქიმეთის ხელმწიფის

ან მარეს\* ნაშიერნი –

სვანები კი იაღბუზს

(ვითარც წერდნენ წინათაც)

უწოდებდნენ ფაზისს,

ანუ წმინდა მთას.

1971

---

\* ან მარე – ცის კაცი (5185 – 5120)



## ქართველი გოსნები

სიყვარულით,  
დაფნით და მთვარით  
შესამოსები,  
ქმნიან დიად ეპოქას,  
ქართველთ რომ ჰყავთ  
გოსნები,  
საქართველოს კი არა,  
მთელ სამყაროს ეყოფა.

1989



\*\*\*

ეკესინის პონტოს სანაპიროზე –  
ცხენთა თქარუნით,  
ველურ ყიჟინით,  
ასწლეულებმა გადიტარემეს...  
რადგან დაატყდათ რისხვა ერესის.  
წევს, აი,  
ახლა,  
ლეგენდების სინარნარეში,  
ჩემი კოლხეთი –  
ძველთუძველესი.

1971



**ეროსი**

/ვარიანტი/

ტრფობის გარეშე რაა სიცოცხლე,  
როდესაც გიყვარს,  
სიკვდილიც კი საამურია,  
რადგანაც ოქროდ ფასობს წამები,  
რადგანაც იგი  
არის სამება, –  
ეროსი – იგივე კუპიდონი და  
ამურია.

1974



## დრონი

არა ხდება ასე განა,  
სად თბილისი ან სად რომი,  
მაინც, სადღაც ერთურთს ჰგვანან  
აღუქსანდრე ჭავჭავაძის  
"ვაჰ, დრონი" ... და  
ანტონიო ვივალდის –  
"წელიწადის დრონი".

1962

\*ვივალდი – იტალიელი კომპოზიტორი, დირიჟორი  
და პოეტი (1678 – 1741)



## ნაბუქოდონოსორი

ვაზისთან და ვეფრატთან,  
ტირის ვაზის ბაბილო  
და ცრემლში ჭკერეც  
ბაბილონს,  
ორ "ხაღდეს" და ორ "ხეთას" –  
ლეგენდებით მოქსოვილს,  
ორივეს მდგარს კოლხეთთან,  
დიდი კოლხი –  
ხელმწიფის –  
ნაბუქოდონოსორის.

1976



## ფისტიკაური

"ასი ათასი",

"სტაგრა ატლასი"

და სტრიქონები სხვა უცნაური,  
რომელთა ფერი ადევთ ურთხმელის,  
შექმნილი,

ვიღაც "ფისტიკაურის\*",

ნაკალმარს არ ჰგავს

დიდი რუსთველის.

1963

---

\* "ფისტიკაური" – ქართული ლექსის სახეობა, რომელიც ვიღაც "ფისტიკას" სახელთან არის დაკავშირებული.





\*\*\*

ბრწყინავს ცა ჭეშმარიტების,  
მაგრამ კიბე კი არა ჩანს,  
პირდაპირ სასწაულია,  
შენ –  
იმ ბილიკით მიდიხარ,  
სადაც არავის უვლია.

1962



## კორიდა

ცხოვრება, თურმე, ყოფილა კორიდა,  
სად ერთად იბრძოდა  
შვიდი ძმა,  
ორი და\*.

ახლა კი

"ბრძოლის ველს"

ფრთა ფარავს დაისის.

სადღაც, კორიდიდან –

ერთისდა ხმა ისმის.

2015

---

\* ვაჟა ეგრისეი – მეცხრეა: შვიდი ძმა, ორი და.



\*\*\*

შურთაგან გარდმოსვეწილმა,  
მიუსაფარმა პოეტმა,  
მეტი რა უნდა ინატროს,  
რომ მარტოობის კუნძულზე  
სულ მარტოდმარტო  
ბინადრობს.

2014



## კლიმენტი ფილიონი

ლოცვად გადასდიოდათ

ღვთის მადლი და

მირონი –

"ფარდის მიღმა" მჭერეკტელებს:

ორ დიდ ალექსანდრიელს –

კლიმენტის<sup>1</sup> და

ფილონის<sup>2</sup>.

1964

<sup>1</sup> – კლიმენტი ალექსანდრიელი – ქრისტიანული სიმბოლიზმის წარმომადგენელი.


<sup>2</sup> – ფილონ ალექსანდრიელი – ალეგორიზმის წარმომადგენელი



**ხმა ქალღეველ ქურუმ-მოგვთა**

– უფალს თავის სამსახურად,  
წამს ეახლა უფლის მონა,  
ცად წაეიდა,  
განა მოკვდა!  
ათასეულ წლიდან უონავს  
ხმა ქალღეველ  
ქურუმ-მოგვთა.

1973



## მინდვრის ყვავილები

მეხი ელვას რომ გაეკიდება

ისე, ვითარცა დავითს

საული.

ცა როცა წვიმას გულში გაივლებს,

მაშინ სიამე ურუანტელად

ტანში დაუვლით,

ენაჭარტალა მინდვრის ყვავილებს.

1964



## ხმები ატლანტიდელთა

რაც მქონია ოდესმე

ოცნება და სურვილი,

ყველამ ერთად იღენტა...

ისტორიის ხსოვნას კი

ბედად შემორჩენილნი –

საიდანღაც მოგესმის

ხმები –

ატლანტიდელთა.

1979



## ოდისე და იაზონი

ბერძნებმა რომ ორი გმირი

(ორივე პელაზგთ ნაშიერი)

ხერხით ზევსს რომ მიაზომეს

და ჩვენთვის ვერ გაიმეტეს!

– ოდისე<sup>1</sup> და იაზონი<sup>2</sup> –

სიძე გახლდათ აიეტის.

1976

1,2 – ოდისევსი – აიეტის – კოლხეთის მითიურ მეფის დის –  
კირკეს ქმარი იყო, ხოლო იაზონი – აიეტის ქალიშვილის –  
მედეასი





## ეფრემს, პავლეს

არსთგამრიგეს მუდამ ღია  
აქვს ცისა და  
რწმენის კარი  
და მირონში ისევ ავლებს –  
სული წმინდის –  
ოქროს ქნარებს –  
ღვთის მოციქულ ეფრემს,  
პავლეს.

1972



## ინდოეთში

მიმწუხრისას მიჰქონდა

ბრაჰმა<sup>1</sup>,

ვიშნუ<sup>2</sup> და ინდრა<sup>3</sup>,

მღვრიე განგის ნაპირებთან,

ჰიმალაის მთად თუ მინდვრად,

სადღაც ღამის გზაზე მავალ –

მზის ღვთაებას,

მზის ღმერთს მითრას.

1964

1,2,3 – ინდოეთის ღვთაებები



## წიგნები

*მინაწერი "კოლხური ფსალმუნების" ათას,  
ათასხუთასგვერდიან ხუთტომეულზე:  
"ღაგჯექ და წიგნი დაწერე,  
ეთქვი, რომ ვიშიღებ ამასო".*

*დავით გურამიშვილი*

ცხოვრების გაუვალ უღრანში,

შარა-გზას თვითონ რომ  
იგებენ...

(სავალი მაინც არ იღევა...)

რომ გყავს ბუმბერაზი შვილები –

ქრისტეს მონათლული – წიგნები.

2012



\*\*\*

თავკეშ გიღევს ლოცვები  
ისე, ვით სასთუმალი,  
არ ჩანს ავის ნასახი.  
და... ხარ ხშირი სტუმარი  
სულიწმინდის –  
სასახლის.

1964



\*\*\*

დავიწყების ქვეყნიდან,  
რადგან ხსოვნად მოხვედი,  
